30/12/2025

MES 7 25 0001860703

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი, 16.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
დასრულების დრო: 16:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
საბჭოს მდივანი:დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის 16 დეკემბერს.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. ***სერგო ჭელიძე*** **-** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუს“ პროფესორი, *საბჭოს თავმჯდომარე.*
2. ***ზურაბ ორჯონიკიძე-*** *სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;*
3. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ***რიმა ბერიაშვილი-*** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
5. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
6. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

7. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.
8. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნათია ზედგინიძე** - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ***ქეთევან ინანაშვილი-*** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2. ***ლალი ოდიშვილი-*** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3. ***ანი ბილანიშვილი-*** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

1. ირაკლი ბრაჭული - რექტორი;
2. არჩილ ყანჩაველი - პრორექტორი;
3. თამაზ ვაჩაძე- კანცლერი;
4. ბაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
5. რუსუდან ცერცვაძე- იურიდიული სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ნატო გენგიური, პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ირინა დვალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი:

1. ლევან ტვილდიანი - რექტორი
2. ნინო თაბაგარი - დეკანი
3. თამარ თალაკვაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი
4. ნინო გიორგაძე - იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

1. ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
2. ნათია სამუშია - პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში

3. მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
4. შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი
5. ლილე ჩხეტიანი - იურიდიული სამსახურის უფროსი
6. ლილი ბეგიაშვილი - იურისტი
7. სოფო კიზივაძე - იურისტი
8. ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
9. მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ეკა ლეკაშვილი
- თინათინ დვალიშვილი
- ნანი არაბული
- ნინო მინდიაშვილი
- დავით მახვილაძე
- ეკატერინე ბაკარაძე
- სოსო გაზდელიანი
- ნინო მინდიაშვილი
- თამარ ძველაია
- ნინო ალავიძე
- სალომე ვორონოვი
- თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. პს თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის/განაცხადის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

ცენტის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა ნიუვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ ავტორიზაციის საბჭოს № 1365544 გადაწყვეტილების დანართში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. პს თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის/განაცხადის განხილვა.
5. "ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 ოქტომბრის №1365544 გადაწყვეტილების დანართში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში, „SANGU”) ავტორიზაციისთვის შეფასება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფმა (შემდგომში, „ჯგუფი"), რომელიც დაწესებულებას 2025 წლის 22-25 სექტემბერს ეწვია. ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო SANGU-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და გამოიკვლია ყველა მტკიცებულება და მაჩვენებელი, მათ შორის, შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც მოგვაწოდა უნივერსიტეტმა და რომლებიც ჯგუფმა დამატებით მოითხოვა ადგილზე ვიზიტის დროს. სამი სრული სამუშაო დღე დაეთმო ინტერვიუებს ხელმძღვანელობასთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლებთან, ასევე SANGU-ს კამპუსის დათვალიერების ტურს.
ანგარიშში შეჯამებულია ყველა სტანდარტისა და ქვე-სტანდარტის აღწერილობითი შინაარსი და მოთხოვნებთან შესაბამისობის შედარებითი ანალიზი, მათ შორის, ექსპერტების მიერ მოწოდებული და ჯგუფის მიერ შესწავლილი დეტალები, რაც განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით და ხელმძღვანელობით, რომელიც სამართლიან და გამჭვირვალე პროცედურებზე არის პასუხისმგებელი.
მთლიანობაში, SANGUS-ს გააჩნია სტრატეგიული ხედვა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, დადგენილი პროცედურებისა და პროცესების შესახებ, ხოლო მისი პრაქტიკა სისტემურ დონეზე ძირითადად დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს ორგანიზაციული თვითშეფასების მნიშვნელობა ერთიანი მუშაობისა და სტრატეგიულ დონეზე გაუმჯობესებისთვის. აღსანიშნავია ხელმძღვანელობის მზადყოფნა ორგანიზაციის უწყვეტი განვითარებისთვის. ამასთან, საჭიროა დაწესებულების ხარისხის მართვის სისტემის შემდგომი გაძლიერება და მიმდინარე პროცესების უკეთესი კოორდინაცია, მათ შორის, დოკუმენტირებული ინფორმაციის მართვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას გამჭვირვალობა დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებაში.
ზოგადად, SANGU სრულად აკმაყოფილებს სამ ძირითად სტანდარტს და მეტწილად აკმაყოფილებს ოთხ ძირითად და მრავალ ქვესტანდარტს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არსებითი შესაბამისობის სტანდარტებსა და ქვესტანდარტებს, განსაკუთრებით ორგანიზაციული მოწყობის, მართვის და

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში, კვლევის, ინტერნაციონალიზაციის და სტუდენტთა მობილობის მიმართულებით არსებული სისუსტეების აღმოსაფხვრელად, რაც უფრო ფართო მიდგომას მოითხოვს.
რეკომენდაციები სავალდებულოა ზოგადი თვალსაზრისით, რაც იმას გულისხმობს, რომ გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც დაწესებულების ავტონომიასა და პასუხისმგებლობის სფეროს ეკუთვნის. წინადადებები უნდა განიხილებოდეს, როგორც ექსპერტთა რჩევები ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, რათა დაწესებულებამ მიაღწიოს დასახულ მიზნებს და შეძლოს გეგმების განხორციელება რეგულარული მონიტორინგის გზით.
აღნიშნულის საფუძველზე, ექსპერთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, SANGU-ს მიენიჭოს ავტორიზაცია 5 წლის ვადით, საქმიანობის შუალედური ანგარიშის წარდგენის პირობით.
ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ მოკლე ძირითადი მიგნება დაკავშირებულია ციკლთან - განახორციელე, იმოქმედა, შეამოწმე, რამდენიმე რეკომენდაცია მეორდება რამდენიმე სტანდარტსა და ქვესტანდარტში. უფრო ჭარბად რეკომენდაციები მოცემულია მეორე და მესამე სტანდარტში, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ და მართვით სტრუქტურასთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ბაია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა მეტად ღია და კოლეგიალურ გარემოში. დასკვნაში ექსპერტებმა გამოკვეთეს უნივერსიტეტის ძლიერი მხარეები და ამავდროულად გასცეს რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას დაეხმარება განვითარებაში. PDCA ციკლის რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითქვა, რომ სტრატეგიული მიმართულებების და მიზნების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და იმპრემეტაციის პროცესში უნივერსიტეტში გამოიყენება, რა თქმა უნდა, PDCA ციკლი. სტანდარტულად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყო არაერთი დაინტერესებული მხარე. მოხდა არსებული მდგომარეობის შეფასება, 2019-25 წლების სტრატეგიული განვითარების განხორციელების ანალიზი. ეს რეკორდინგი ჩადებულია საავტორიზაციო განაცხადშიც, შესაბამისად ამ პერიოდში სტრატეგიული დაგეგვმის პროცესის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობდა. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ხდებოდა ანგარიშის წარმოდგენა თავისი მტკიცებულებებით და ინდიკატორებით.
დაწესებულება იმედოვნებს, რომ ამ ეტაპზე უფრო გამარტივებული იქნება ამ ციკლის სრულად წარმიდგენა, რასაც განაპირობებს ის, რომ ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის თანახმად იქნება შემუშავებული, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობები, თითეულის ვადა და ა.შ. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას სურს, რომ ამ რეკომენდაციას რჩევის სახე მიეცეს. გარდა ამისა, 2.1 რეკომენდაციას გაესვა ხაზი, რომელიც ეხება ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარებას. დაწესებულებაში HR სამსახური ყოველწლიურად ატარებს კვლევას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის და ამ შედეგების შესაბამისად განისაზღვრება პროფესიული მიზნები და შედეგები.
წინა ავტორიზაციის დროსაც დასახული იყო, რომ აკადემიური პერსონალის გადამზადება უნდა მომხდარიყო, რომელიც შესრულდა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სრულად ინგლისურენივანი პროგრამები და ამ პროგრამაში ჩართულ პერსონალს არასდროს ჰქონია ერთგვარი ბარიერი კომუნიკაციისას. აქედან გამომდინარე, ეს რეკომენდაცია ცოტა ზედმეტად მიაჩნია დაწესებულებას. 2.2 სტანდარტის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დასკვნის ნაწილში ექსპერტებს მოცემული აქვთ, რომ ერთ-ერთ ფუნქციად ხარისხის სამსახურში არის მონიტორინგის საკითხი. აქ ხაზი გაესვა იმას, რომ ხარისხის სამსახური სრულად ვებგვერდის მონიტორინგს არ აკეთებს, ეს ხდება მხოლოდ იმ ჭრილში, როდესაც ხდება კატალოგის ან სასწავლო პროგრამის განახლება. ეს მონიტორინგის

სამსახურის მოვალეობაა ახალი ინფორმაცია მიაწოდოს იმ პირს, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდის გამართულ ფუნქციონირებაზე. ეს ხდება იმიტომ, რომ არ მოხდეს ძველი ინფორმაციის ჩარჩენა და სტუდენტების ან დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანა. ამასთან, 2.2 ქვესტანდარტის მეოთხე რეკომენდაცია ეხება შეფასების ინტრუმენტებს. უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც მოცემული რა სფეროებს, პრინციპებს, მექანიზმებს მოიცავს და რომელი ერთეულები არის პასუხისმგებელი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე. წარმოდგენილია ინსტრუმენტებიც, მაგალითად: პერსონალის გამოკითხვა როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და მოწვეულ დონეზე საქმიანიბის შეფსება, სტუდენტების გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე, ასევე შეთავაზებული სერვისების და ინფრასტრუქტურის კვლევა კეთდება ზოგადი კმაყოფილების კვლევის ფარგლებში. ხდება კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების დამოუკიდებლად კვლევა, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. დასკვნის აღწეთრი ნაწილში არ არის დაკონკრეტებული რა დამატებითი ინსტრუმენტი ესაჭიროება დაწესებულებას შემდგომი განვითარებისთვის. ამ ეტაპზე კი ბუნდოვანია რა იგულისხმება დამატებით ინსტრუმენტებში.
2.2 ქვესტანდარტში გაცემულ ექვს რეკომნდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სრულად მოიცავს კითხვარების თემატიკას, ნაწილობრივ ეს რეკომენდაციები შესრულებულია, გამომდინარე იქიდან, რომ გამოკითხვის ფორმების უმეტეს ნაწილში მოცემულია თუ რას ემსახურება, რა მიზანს ატარებს, რა მეთოდოლოგიებია გამოყენებული კითხვარების წარმოებისას. ერთ-ერთ რეკომენდაციაში მოცემულია, რომ უფრო მეტად რაოდენობრივ მონაცემებს იყენებს დაწესებულება, ვიდრე თვისობრივს. ის კითხვარები, რომელსაც ხარისხის სამსახური აწარმოებს ეს არის სტუდენტთა გამოკითხვა საგნების, ლექტორების, კმაყოფილების დონის დადგენის ჭრილში. გარდა ამისა ეს ფოკუს ჯგუფები უფრო ემსახურება თვისებრივ მონაცემებს, ვიდრე რაოდენობრივს. ზოგადად, კითხვარის დიზანი და მეთოდოლოგია რატომ მოხვდა რეკომენდაციების ჭრილში დაწესებულებისთვის ბუნდოვანია, რადგან ექსპერტები ამბობენ, რომ წარდგენილია კითხვარის ფორმები და ასევე შედეგების ანალიზი, არსებითი ხარვეზე ამ კუთხით არ არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს გასაუმჯობესებელ მხარეს და მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს უფრო რჩევის ფორმატში.
ასევე, ხდება ორი რეკომენდაციის დუბლირება, 2.2 ქვესტანდარტის მეთოტხმეტე რეკომედნაცია და მეხუთე ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაცია არის ერთი და იგივე, სადაც საუბარია, რომ დაწესებულებამ უნდა ჩართოს სტუდენტები და დამსაქმებლები სამომავლო თვითშეფასების პროცესში და დაწესებულების თხოვნაა, რომ იქნებ ამოღებულ იქნას 2.2-ის ქვესტანდარტის ნაწილიდან. მესამე სტანდარტში გაცემული რეკომენდაციებიდან 2 მათგანი ეხება „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და სწავლის შედეგების გადახედვის საკითხს. ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა კორეკტირებულია, პროგრამის ჩაბარების დროს დაშვებულია უცხო ენები: გერმანული, ინგლისური, ფრანგული ან რუსული. რაც შეეხება სწავლის შედეგების გადახედვას, ეს პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ინფრომაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. გარდა ამისა ამ პროგრამამ კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში 14 ნოემბერს მიიღო სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით და არცერთი რეკომენდაცია არ იყო გამოთქმული ამ პროგრამების მიმართ.
აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საბჭოს, რომ მოიხსნას ეს რეკომენდაციები აღნიშნულ პროგრამებზე. ასევე, „ბიზნესინფორმატიკასა და კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით აღინშნა, რომ არგუმეტნირებულ პოზიციაში წარმოდგენილი იყო, რომ „ბიზნესინფორმატიკის“ ერთიანი პროგრამა აღარ წარუდგენია დაწესებულებას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დეტალური სფეროს ხელახალი აკრედიტაციის ვადის ფარგლებში, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ძალას კარგავს. ხოლო „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივმა პროგრამამ 16

ოქტომბერს მიიღო აკრედიტაცია 7 წლის ვადით. პროგრამის დაშვების წინაპირობად დაშვებულია ბაკლავრის ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით გავლა, ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა და უნივერსიტეტის და პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ერთობლივი ზეპირი გამოცდის გავლა სპეციალობის მიმართულებით. 4.1 ქვესტანდარტის ბოლო რეკომენდაციასთან აღინიშნა, რომ ის პერსონალის სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას ეხება. აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის ფარგლებში თანდართულ დოკუმენტად დაწესებულებას ევალებოდა აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა. მიმდინარე საავტორიზაციო პერიოდში ამ დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება დაწესებულებას არ გააჩნია. ექსპერტებს მითითებული აქვთ დასკვნაში, რომ მათ მოითხოვეს დოკუმენტი და ეს ასეა, მათ მოითხოვეს აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, შესაბამისად მოხდა ამ დოკუმენტაციის წარდგენა.

რუსუდან ცერცვაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ არის კონკრეტულად სახელმწიფო დაწესებულება, ის არის არასამეწარმეო, არაკომერციული რელიგიური ორგანო, რომელსაც არეგულირებს არა მხოლოდ განათლების შესახებ კანონი, არამედ სამოქალაქო კოდექსი და მეწარმეთა შესახებ კანონიც. ამასთან ის ჩვეულებრივი შპს არ არის, ის არის საპატრიარქოს მიერ დაარსებული. კანონის მიხედვით სათავეში ერთი კონკრეტული პირი უნდა იყოს, რომელიც კაკონის თვალსაზრისით პასუხისმგებლობაში მიეცება მიმდინარე საკითხებზე, თუმცა უნივერსიტეტში არ არის ერთპიროვნული მმართველობა. უნივერსიტეტს ჰყავს რექტორი, რომელიც საკუთარ საქმეს უძღვება, ასევე კანცლერი და დამფუძვნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ნომინირების კუთხით ყურადღება გამახვილდა, რომ პროცესი არის საკმაოდ გამჭვირვალე როგორც რექტორის, ისე კანცლერის დანიშვნის წესი. მას ნიშნავს თავად დამფუძვნებელი და ის რომ დამფუძვნებლის სრულუფებიანი წარმომადგენელი წარადგენს კანდიდატურას არ ნიშნავს იმას, რომ ის ერთადერთი უპირობო კანდიდატია, უბრალოდ მასაც აქვს უფლება წარადგინოს კანდიდატურა. საბოლოო ჯამში, ის კანდიდატი ინიშნება, რომელიც ბევრად უფრო წაადგება უნივერსიტეტს.

რაც შეეხება აკადემიურ საბჭოს, ეს იმიტომ დატოვა დაწესებულებამ, რომ პერსონალი მაქსიმალურად იყოს ჩართული საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში. თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს რექტორი გასულია აკადემიურ საბჭოზე. აქ მონაწილეობას იღებენ როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და რეალურად, ეს არ არის ერთპიროვნული გადაწყვეტილებები. აკადემიური საბჭო მუშაობს იმ დოზით, რა დოზითაც სჭირდება უნივერსიტეტს. მაშასადამე ბიოროკრატიული ორგანოს ცამატება კიდევ უფრო ბუნდივასნ გახდიდა პროცესს. ამიტომ დაწესებულებამ არჩია, რომ აკადემიური საბჭო უნდა არსებობდეს იმდენად, რამდენადაც უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, უბრალოდ მას აქვს სათათბირო როლი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ იღებენ გადაწყვეტილებას, წორედ მათი გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით. შესაბამისად ძლიერია აკადემიური საბჭო.

რაც შეეხება მეოცე რეკომენდაციას, ესეც შინაარსობრივად ცალსახად შეესაბამება ამ ორგანიზაციულ სტრუქტურას, ეს არის დამფუძნებლის სრულუფკებიან წარმომადგენელთან დაკავშირებით რეკომენდაცია. ეს არ უნდა იყოს ისე აღქმული, რომ დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თითქოს ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას. რეალურად მისი ყველა გადაწყვეტილება ეფუძვნება შიდა პროცესებს, თუნდაც ხარისხის საბჭოს პროცესის საკვანძო შედეგებსა თუ სასწავლო პროცესის საკვანძო შედეგებს. დელეგირება ხდება კანცლერსა და რექტორზე იმ კანონის ფარგლებში, რომელსაც აძლევს განათლების კანონი მათ. დანარჩენ საკითხებში რამდენადაც დამოუკუიდებელია მმართველი, იმდენად იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა არ ნიშნავს ეს იმას, რომ ეს არის არაკოლეგიალური და ერთპიროვნული. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არ არის სწორი, რადგან სხვანაირად ვერ იფუნქციონირებს დაწესებულება.

თამაზ ვაჩაძემ 1.1 რეკომენდაციასთან დაკავსირებით აღნიშნა, რომ აუდიტი დაწესებულებას ზაფხულშივე ჰქონდა დაწყებული და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის დასრულებული არ იყო, ამიტომ ექსპერტებს ვერ წარუდგენდა უნივერსიტეტი სრულ დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი ამჟამად უკვე დასრულებულია და შემდგომი დადგენილი წესით, ფინანსური დოკუმენტაცია შემოიტანილა სერთიფიცირებული აუდიტორიული კომპანიის მიერ და წარმოდგენილია სამი წლის აუდიტორიული დასკვნა.
რაც შეეხება რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ანგარიშგების საჯაროობას, განიმარტა, რომ ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველასთვის მოთხოვნის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია არ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებსაიტზე მისი საჯაროობა სრულად ეფუძვნება პუატური აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ წესებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის. დაწესებულებას სრუს, რომ ეს რეკომენდაცია რჩევის სახით ფორმულირდეს.
დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მთლიანობაში იყო პოზიტიური ვიზიტი, რაც აისახა დასკვნაში, სადაც თითქმის ყველა სტანდარტი „სრულად“ ან „ნაწილობრივ“ შესაბამისობაშია. რაც შეეხება ბოლოს აღნიშნულ რეკომენდაციას, თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო ავტორიზაციაზე, აღნიშნული იყო, რომ მიმდინარეობდა აუდიტის პროცედურები და წარმოდგენილი იქნებოდა უშუალოდ ავტორიზაციის პერიოდში. ექსპერტების ვიზიტისას ეს დოკუმენტი არ იყო დასრულებული და შესაბამისად ექსპერტთა გუნდი იძულებული იყო, რომ მსგავსი რეკომენდაცია გაეცა, რადგან ეს არის სტანდარტის მნიშვნელოვანი მოთხოვნა. ამ დოკუმენტაციას შემდეგ გავეცანით და კითხვებს არ ტოვებს, თუმცა გათვალისწინება ვერ მიხერხდებოდა, რადგან უშუალოდ ავტორიზაციის პერიოდში არ მომხდარა დოკუმენტის წარმოდგენა.
ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ციკლთან მიმართებით დასკვნაშიც მითითებულია, რომ აქ იყო შეუსაბამობა სხვადასხვა დეპარტამენტების ჩართულობის თვალსაზრისით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემოშავების პროცესში. ეს რეკომენდაცია უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. ამასთან 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითქვა, რომ როცა ექსპერტებმა გამოითხოვეს სტატისტიკური ინფორმაცია, სტანდარტების განმარტებებში ეწერა, რომ ინსტიტუციამ მუდმივად უნდა ახორციელოს სტატისტიკურ მონაცემთა შეფასება და ანალიზი, სადაც ჩამოთვლილი იყო რა მიმართულებით უნდა წარმოედგინათ სტატისტიკური ანალიზი.
თინა დვალიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით სამსახურის დებულება, რაც წარმოდენილი იყო საავტორიზაციო პაკეტში და ექსპერტთა მიერ შეფასდა, განხილვისას საუბარი იყო ვებგვერდის მონიტორინგთან დაკავშირებით, ეს მაგალითის სახით ეწერა დასკვნაში. მთლიანობაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ არის მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მისი სახელწოდებაა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტარტეგიული განვითარების სამსახური. შესაბამისად, 2 მნიშვნელოვანი მიმართულებით მუშაობს უნივერსიტეტში. როდესაც ექსპერტებმა მიიღეს ეს დებულება გამოჩნდა, რომ მათ აქვთ ძალიან ბევრი საქმე სამი სხვადასხვა მიმართულებით, ერთი არის წმინდა ხარისხის მიმართულება, მეორე - სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულება და მესამე - ყოველდღიური ადმინისტრაციული მიმართულება. შესაბამისად შემდეგ ჩატარდა გასაუბრება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და ბოლოს გაირკვა, რომ ეს არის ძალიან ბევრი ფუნქცია ამ სამსახურისთვის და ეს ფუნქციები ან უნდა გადაჯგუფდეს, ან უნდა დაიგეგმოს, რადგან ხარისხის უზრუნველყოფა არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული საქმიანობა სტრატეგიულ დაგეგმვაში. მეტწილად შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციულ საქმიანობად. ორივე მიმართულებას აქვს ძალიან ბევრის პროცედურები გაწერილი და ეს დატვირთვა სტაფისთვის იყო ზედმეტი. გარდა ამისა ჩანაწერები აღმოაჩინეს, სადაც ხარისხის სამსახური საჯარო მოხელის განვითარების საკითხზეც მუშაობს, ეს ალბათ ტექნიკური ხარვეზია, რადგან თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ფუნქცია არ აქვთ. შესაბამისად ტექნიკურად და

შინაარსობრივად არის გადასახედი, რაც ზედმეტია ის წასაშლელია და რასაც ხარისხის სამსახური აკეთებს დასალაგებელია, რადგან ბევრი კომპონენტია ჩამოწერილი და თითოეულ კომპონენტს ძალიან ბევრი პროცესები აქვს, რასაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია ამ მიმართულებით რეკომენდაცია. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, უნივერსიტეტს ბუნდივანება აქვს იმასთან მიმართებით, რომ მეტი რა მექანიზმი არის დასამატებელი. საქმე ისაა, რომ დამატები მექანიზმებს არ ითხოვენ ექსპერტები. აქ საუბარია იმაზე, რომ რა მექანიზმებიც არსებობს ჩამოწერილია დოკუმენტებში და მხოლოდ გაშლილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და სხვა მექანიზმები სათანადოდ არ არის გაშლილი, ამიტომ თვითონ დოკუმენტში უნდა მოხდეს ცვლილება, რომ ის იყოს სრულყოფილი.
ყველა მექანიზმი, რაც არსებობს უნდა იყოს ასახული და რა მიზნით არის, ვინ ამოწმებს მას და ა.შ. ყველა დეტალი ჩამოწერილი. ასევე, რეკომენდაციების გადაფარვასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შესაძლებელია სხვა სტანდარტთან მიმართებით, თუმცა თავად ხარისხის უზრუნველყოფასთან გაცემულ რეკომენდაციებს, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება, ერთ არის უშუალოდ შეფასების ფორმებთან დაკავშირებული, ხოლო მეორე - შეფასების შედეგების ანალიზს.
შედეგების ფორმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასახული იყოს ვინ ავსებს ამ ფორმებს, ვის ეგზავნება, გაგზავნის შემდგომ რა ხდება, ეს რომ არა ექსპერტი ვერ მიხვდება PDCA ციკლს. ეს რეკომენდაცია გაიცია, რადგან არ არის შეფასების შკალა მოცემული. ასევე, არ იყო გაჟღერებული ხარისხის უზრუნველყოფა კვლევის მიმართულებით, ინდივიდუალურობის დონეზე ეს პრობლემა არ დგას, თუმცა არ ჩანს ფაკულტეტისა და ინსტიტუციის დონეზე როგორ ხდება შეფასება. დაწესებულებას აქვს უნიკალური კვლევითი ცენტრები და ერთი შეფასების მექანიზმი აქვს დაწესებულებას ამ პროდუქტიულობისთვის ფაკულტეტისთვისაც, კვლევითი ცენტრისთვისაც არ ხდება ამ ყველაფრის ჩაშლა და ეს ერთი მექანიზმი უნივერსალური როგორ არის სადავოა.
ბაია ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დებულებაში ტექნიკური ხარვეზია და ეს აუცილებლად გასწორდება, რაც შეეხება ფუნქცია-მოვალეობებს, აღინიშნა, რომ ვებგვერდის საკითხი მხოლოდ მაგალითის სახით იყო, თუმცა დაწესებულება სწორედ ამ მაგალითებსა და ფაქტობრივ გარემოებებზეა მორგებული. რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების და ხარისხის მოვალეობების გამიჯვნას, ამ საკითხში ეთანხმება დაწესებულება ექსპერტებს. ჩართულობის თვალსაზრისით სტუდენტი, კურსდანთავრებული, დამსაქმებელი ყველა ჩართულია ამ პროცესში, უბრალოდ ვიზიტზე ვერ მოხვდა ის სტუდენტი, რომელიც ჩართულია ამ პროცესებში. რაც შეეხება კითხვარების ფორმებს, ეს მეორდება დასკვნაში და კითხვარები არ არის სახარვეზო საკითხი, ეს უფრო მეთოდოლოგიური ნაწილია და უმჯობესი იქნებოდა თუ რჩევის სახით იქნებოდა წარმოდგენილი.
ეკატერინე ბაქრაძემ 2.1 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ამ ქვესტანდარტში ურთიერთდაკავშირებული რეკომენდაციები გაიცა. ცხადია, ექსოერტებს ესმით, რომ უნივერსიტეტი არის საკმაოდ სპეციფიური. ვიზიტის ფარგლებში არ დადასტურებულა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი, ან ის რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელი ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებებს. დარღვევის საშიშროება ჩანს მარეგულირებელ დოკუმენტებში. პრობლემა ის არის, რომ თუ დაწესებულებაში ოდესმე რაიმე ფაქტი დადგება, უნდა არსებობდეს გარანტიები, რომლებიც დაიცავენ რექტორის, აკადემიური პერსონალის თუ სხვა მომსახურე პირის აკადემიურ თავისუფლებას და სწორედ ამ მიზნით გაიწერა რეკომენდაცია. მარეგულირებელი აღნიშნულია, რომ დამფუძნებლისგან მმართველს მინიჭებული აქვს სრული უფლება დანიშნოს და გაანთავისუფლოს როგორც რექტორი, ისე კანცლერი. ამასთან ეს პიროვნება განაგებს უნივერსიტეტის ბიუჯეტსაც. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე დარღვევა არ დაფიქსირებულა ექსპერტებმა საჭიროდ მიიჩნიეს, რომ გაეცათ აღნიშნული რეკომენდაცია.

ირაკლი ბრაჭულმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მმართველს რექტორის დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება არ აქვს, მას მხოლოდ შეუძლია კანდიდატის წარდგენა დამფუძნელებთან. მაშასადამე, მას არ აქვს სრული უფლებამოსილება. ასევე აკადემიურ სფეროში მმართველი არ ერევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყებისდრო: 13:15
დასრულებისდრო: 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის და 1 წელში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი, 2026 წლის 16 დეკემბრამდე.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 16 დეკემბერს.

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ნინო მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო 34 რეკომენდაცია და თითქმის ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული. მხოლოდ მეოთხე, მეხუთე და მეცამეტე რეკომენდაცია არის დარჩენილი, რაზეც გაამახვილა დაწესებულებამ ყურადღება. ყველაფერი ასახულია დასკვნაში. უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს განვითარებისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, თუმცა დარჩა რამდენიმე რეკომენდაცია, რადგან ეს არის განმავითარებელი პროცესი, ამიტომ ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ეს რეკომენდაციები დარჩენილიყო ისე, როგორც არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხებოდა ფინანსურ სამოქმედო გემაში გაწერილ მოქმედებებს, კონკრეტული თანხების გაწერის საკითხს, რაც რეკომენდებული იყო ექსპერტთა მხრიდან. მეორე რეკომენდაცია იყო სტრატეგიული გეგმის უკეთ გაცნიბა როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ისე პერსონალის - აკადემიურის, მოწვეულის, ასევე სტუდენტებისთვის. მესამე კი ეხებოდა ხარისხის სამსახურს. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ძალიან მცირე რაოდენობის პერსონალი მუშაობს ხარისხის მიმართულებით, რაზეც თანხმდებიან ექსპერტები და დაწესებულება. ამ კუთხით ჯერ ბოლომდე არ შესრულებულა რეკომენდაცია, თუმცა ძალიან დიდი ცვლილებები განხორციელდა გასული საანგარიშო წლის განმავლობაში ზუსტად იმ კუთხით, რომ პერსონალი დამატებოდა ხარისხის სამსახურს. ერთი პერსონალი დაემატა გუნდს და კოორდინაციის კუთხით გაკეთდა ვრცელი სამუშაო აღწერილობები და დაიგეგმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, თუმცა უნივერსიტეტის მწირი რესურსი არ იძლეოდა საშუალებას, რომ ერთზე მეტი პერსონალი დაემატებინა, ამიტომ დაამატა ერთი და დანარჩენზე მომდევნო წლის ბიუჯეტში გაიწერა. დაწესებულება ფინანსდება კულტურის სამინისტროს მიერ, ამიტომ მას მიეწოდა ყველა საჭირო დოკუმენტი და 2026 წელში ჩასვა ის ფინანსები , რაც საჭირო იქნება კიდევ ორი პერსონალისთვის ხარისხის მიმართულებით.
რაც შეეხება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობას, ანგარიშის შემფასებელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ აქ დაწესებულებას ჰქონდა ამ სტრატეგიის დამადასტურებელი ოქმები წარმოდგენილი სხვადასხვა დონეზე განხილვისა, მაგრამ აღწერილობაში არის მიცემული, რომ უნივერსიტეტში თავიდან რა სტრატეგიაც დასტურდება ეგ განიხილება ყველა დონეზე, ბაკალავრზეც, მაგისტრატურაზეც და დოქტორანტურაზეც. ფაკულტეტი უგზავნის ყველას ამ ოქმებს. მეილები წარმოდგენილი არ არის, თუმცა ოქმებია წარმოდგენილი და დასტურდება, რომ ის ყველა დონეზეა დაგზავნილი, ამავდროულად ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია ნახოს.
ლელა დვალმა აღნიშნა, რომ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობას წარმართავს საბიუჯეტო სახსრების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების კანოსნი შესაბამისად. დაწესებულება გამოყოფილი გრანტით ფინანსდება კულტურის სამინისტროს მიერ ყოველი წლის დასაწყისში, რომლითაც ხორციელდება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. ის აქტივობები, რომელიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში ძირითადად არის ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა, რომლის განხორციელებაც პროგრამული დაფინანსების ფარგლებშია შესაძლებელი სამინისტროს მოთხოვნით. ეს გულისხმობს იმას, რომ წინასწარ დგება პროექტად მომსახურების გაფორმება, შემდეგ უკვე შესყიდვების კანონიდან გამომდინარე ბაზრის კვლევა და შემდეგ უკვე ფინანსური მოთხოვნა ეგზავნება სამინისტროს და ისინი პროგრამის დაფინანსების ფარგლებსი იძლევიან ამ უზრუნველყოფას. ამ სამოქმედო გემაში თუ ისეთ აქტივობებზეა საუბარი, რომელიც

სასწავლო და ფუნქციური აქტივობებისთვის არის მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, მოიაზრება წლიურ დაფინანსებაში. თუმცა აუცილებელია სხვა აქტივობებისთვის მიმართვა და შეთანხმება სამინისტროსთან, რათა მოხდეს ფინანსური უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 13:55
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცბონად იქნეს მიღებული.

3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
სალომე ვერონაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, ექსპერტების აზრით, სრულად არის შესრულებული, გარდა პირველისა, რომელიც შეფასდა „ნაწილობრივ“ შესაბამისად, ის ეხება მისიას. უნივერსიტეტს ამასთან დაკავშირებით აქვს საკთარი პოზიცია, რომ ამის შეცვლა არ ხდება ერთპიროვნულად და ამას სჭირდება დრო. ექსპერტებმა გაიზიარეს ეს პოზიცია, თუმცა მაინც, საკითხი სრულად არ შეესაბამება სტანდარდს, ამიტომ დარჩა ნაწილობრივ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ლევან ტვილდიანმა აღნიშნა, რომ ერთადერთი საკითხი სადაც პრობლემა გამოიკვეთა არის მისია, რადგან ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გამოხატული თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი აქტიური და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის აღზრდასა და სტუდენტთა მომზადებას კარიერისთვის, თუმცა დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს აღწერილია პრინციპებსა და ხედვებში და შემდგომ მოცემულია ყველაფერი. მისია არ არის დამოკიდებული ვრცელ ტექსტებზე, ის შეიძლება ერთი წინადადებით იყოს ჩამოყალიბებული, თუმცა ეს გემოვნების საკითხია.
ნია თაბაგურმა აღნიშნა, რომ ბოლო ვიზიტის დორს აღწერილია დაწესებულების დამოკიდებულება და არგუმენტები დოკუმენტებში. დასკვნაში მითითებულია აქტიური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებული. მას აინტერესებდა მედიცინის სფეროში თუ არსებობდა ასეთი პასუხისმგებლობის არმქონე პირი. დაწესებულებისთვის საზოგადოების წინაში პასუხისმგებლობა არის მისი პროფესიონალიზმის ნაწილი, მათ შორის, არის ფორმულირებული. ეს პრიექტი დიდი ვრცელი დოკუმენტია, რომელიც ბოლოს ჩადის სამუშაო პროექტებამდე და სადაც ჩანს ამის განხორციელების შესაძლებლობები. შესაბამისად, სტუდენტს აქვს პასუხისმგებლობა, რომელსაც უნერგავს დაწესებულება. ექიმს აქვს ვალდებულებსბის ნუსხა, რომელთან მიმართებითაც ტრენინგდება ექვსი წლის განმავლობაში სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
რიმა ბერიაშვილს აინტერესებდა კონკრეტულად დოკუმენტში როგორ წერია მიზანი და შემდეგ რა არის შენიშნვა.
ნია თაბაგარმა აღნიშნა, რომ ფორმულირება შემდეგია: მედიცინის დარგში მეცნიერებასა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძვნებული უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა, რომელიც შეიცავს 5 პრინციპს, ეს არის სწავლების სწავლის კვლევისა და მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესება; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების რეალიზაცია; სწავლებისა და კვლევებისთვის ოპტიმალური პროცესის ხელშეწყობა; მედიცინის დარგში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე სასწავლებლის რეალიზება; განათლებაზე დაფუძვნებული საზოგადობის შექმნაში საკუარი წვლილის შეტანა. ყველაფერი ეს ღირებულებების ჭრილში და კონტექსტსი შეიძლება იყოს განხილული, ხოლო ღირებულებების ნაწილში, რომელ კონტექსტშიც ყველა ეს პრინციპია დაგეგმილი და მისიის აღსრულება არის შემდეგი მუდმივი ძალისხმევა მაღალი ხარისხი; აკადემიური კეთილსინდისიერების გაძლიაერება და აკადემიური თავისუფლებისა და თვითმმართველობის განვითარება, საზოგადოების წინაში პასუხისმგებლობის განვითარება; პასუხისმგებლობა წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე;

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:44
დასრულების დრო: 14:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნებს მიღებული.

4.პს თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილი საჩივრის/განაცხადის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
გრიგოლ მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ მან თავისუფალ უნივერსიტეტში ჩააბარა 2 წლის წინ 100%-იანი გრანტით. მისი გარიცხვის საფუძველი გახდა მისი კეთილი სურვილი, რომელიც არასწორად მივიდა საზოგადოებამდე. მისი სურვილი არის, რომ აღადგინოს უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ კამპუსში დაახლოებით არის 7 000 სტუდენტი და სხვა პერსონალთან ერთად დაახლოებით 10 000 ადამიანია, ვისაც აქვს სხვადასხვა სივრცეებში დაშვება. არის ზონები, სადაც ლიმიტირებულია დაშვება. ამის მიუხედავად ჩამოყალიბებულია გარემო, სადაც როგორც სტრუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს აქვს მყარი განცდა უსაფრთხოებისა. დაწესებულება უფრთხილდება ამ უსაფრთხო გარემოს და ამის შელახვისას იღებს შესაბამის ზომებს. ამასთან, როგორც ყველა უნივერსიტეტში, ისე თავისუფალ

უნივერსიტეტში სწავლა არ არის უპირობო. ყველა სტუდენტი, რომელიც შემოაბიჯებს უნივერსიტეტში გაცნობითი პროგრამის ფარგლებში დეტალურად არის ინფორმირებული თავის ვალდებულებებზე, რომელისაც ადასტურებენ ხელშეკრულებით. რაც შეეხება საქმის გარემოებებს, 2025 წლის 12 თებერვალს მაშინ, როდესაც უკვე დაკეტილი იყო ბიბლიოთეკა სტუდენტებმა დაცვას სთხოვეს, რომ გაეღოთ მათთვის დარბაზი, რადგან მათ ნივთები დაჩათ შიგნით. მათ აიღეს თავიანთი ნივთები და კიდევ საათი, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. ვიდეომტკიცებულებებით დასტურდება, რომ ეს გააკეთა გრიგოლ მაჭარაშვილმა. საათი არ იყო იაფფასიანი, ასევე გაირკვა, რომ სტუდენტისთვის ეს საათი იყო საკმაოდ ძვირფასი. მათი მოტივი იყო ის, რომ მათ ეგონათ, რომ ეს საათი იყო მათი მეგობრის და უნდოდათ მისთვის გადაცემა. ამ ამბიდან 5 მარტამდე საათზე მათ არავისთვის არაფერი არ უცნობებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულების ვერსიით მათ ჩაუტანეს მათ მეგიბარს რუსთავში აღნიშნული საათი.

ამ პერიოდში უნივერსიტეტში გამოჩნდა საათის მფლობელი, რომელმაც გაკითხვით გაარკვია, რომ ის იყო ბიბლიოთეკაში. კამერების გადამოწმების შემდეგ კი გაირკვა, რომ საათი წაღებული იყო. ამასთან არგუმენტად ჰქინდათ ის, რომ ფეისბუქ ჯგუფში, სადაც სტუდენტები არიან და ადმინისტრაციას ამასთან კავშირი არ აქვს, დაპოსტეს ამ საათზე, თუმცა ისინი ამ ჯგუფის წევრები საერთოდ არ აღმოჩნდნენ და ამასთან მფლობელს ამავე ჯგუფში ჰქონდა დაპოსტილი, რომ ეძებდა საათს. ამასთან ჩანაწერში ჩანს, რომ ისინი შემთვხევით არ წაწყდომიან ნივთს და სავარაუდოა, რომ მათ იცოდნენ ამ ნივთის იქ არსებობსი შესახებ. ამასთან სამი კვირის მანძილზე ნივთი ინყოფებოდა მათთან, თუმცა ამასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ უთქვამთ არავისთვის. აქედან გამომდინარე, გრიგოლ მაჭარაშვილი ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს, ამიტომ გაირიცხა უნივერსიტეტიდან.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გრიგოლ მაჭარაშვილმა ცენტრში შემოიტანა განაცხადი, სადაც აღწერილი იყო გარემოება არნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სადაც ამბობდა, რომ მისი მეგობრის ეგონათ საათი და ამიტომ წაიღეს, ამის შემდეგ ცენტრმა მიმართა დაწესებულებას და გამოითხოვა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ჩატარებული სხდომის ოქმები, ვიდეომასალა, ეთიკის ნორმები და ხელშეკრულება სტუდენტთან. ცენტრის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ესე მკაფიო საკითხი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო და ცენტრს ეფიქრა, რომ აქ შეიძლება მეხუთე სტანდარტის რომელიმე კრიტერიუმი ირღვეოდა, ვერ გამოიკვეთა, შესაბამისად ცენტრმა ავტორიზაციის სხდომაზე გამოიტანა საკითხი.

გრიგოლ მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ პოსტი ჯგუფში გამოქვეყნდა, თუმცა გარკვეული დროსი შემდეგ და ამის სქრინი და დამადასტურებელი არგუმენტები ჩაგდებულია საცივარში. აღსანიშნავია, რომ აგრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო თამნხლები მეგობარი, რომელსაც სწავლა ერთი კვირით გვიან ეწყება და ეს ბოლო დღე იყო მისთვის, როცა იყო უნივერსიტეტში და სწორედ ამიტომ, მან წაუღო თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტს ეს საათი და მას საერთოდ არ ჰქონია წვდომა ამ დღის შემდეგ. ამასთან, ადმინისტრაციიდან არავინ არ მისულა მასთან, ამის დამადასტურებელი არგუმენტებიც არის დოკუმეტაციაში. ერთ-ერთი აგრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, იმ მეგობრის კურსელი, რომეოთან ერთადაც იმყიფებოდა ბიბლიოთეკაში, მიდის მის მეგობართან და ეუბნება, რომ უნივერსიტეტის დეკანი მისულა მასთან და უჩვენებია ის ვიდეოკამერის ჩანაწერი, სადაც ჩანან ისინი. ამის შემდეგ პირადად დაუკავშირდნენ ბატონ შაკოს, ვისი ნომერიც იყო მათთვის ხელმისაწვდომი და ჩანიშნეს შეხვედრა, სადაც აუხსნენს სიტუაცია თუ რა მოხდა რეალურად.

შაკო თავაძემ აღნიშნა, რომ ჯგუფში დაპოსტილი ინფორმაციის სქრინი გრიგოლს არ წარმოუდგენია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. ამ საქმის განხილვა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა და არცერთხელ არ წარმოუდგენიათ აღნიშნული სქრინი, მეტიც მათ აღნიშნეს, რომ თავად არ დაუწერიათ პოსტი და მეგობარს სთხოვეს, რომ დაეპოსტა თუმცა საბოლოო ჯამში პოსტი არ გამოქვეყნდა. ამასთან სიცრუეა ის, რომ თითქოს ისინი დაუკავშირდნენ პირველად, რადგან თავად ეძებდა მათ და მოძიების პროცესი საკმაოდ

რთული იყო, რადგან პირველკურსელების ცნობა რთულია. იდენტიფიკაციისას შემთხვევით არასწორ ადამიანთან მიხდა გასაუბრება, თუმცა მან განმარტა , რომ იცნიბდა აღნიშნულ პირებს და სწორედ ამის მერე მოხდა ბრალდებულების დაკავშირება და აქედან 3 დღის შემდეგ მოხდა საათის დაბრუნება. ამასთან 14 თებერვალს ნივთის მფლობელმა გამოაქვეყნა პოსტი იმავე ჯგუფში, თუმცა მას არავინ გამოხმაურებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
რიმა ბერიაშვილს აინტერესებდა თუ მეგობარი იყო, რატომ არ დაუკავშირდნენ ელექტრონულად.
გრიგოლ მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ დარეკა და იმან დაუდასტურა, რომ იგივენაირი საათი დაკარგული ჰქონდა, თუმცა ერთადერთი გარემოება იყო ის, რომ საათი იყო პატარა ზომის, ამიტომ მისი ვერ იქნებოდა.
ლილი ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ ეთიკის საბჭო 5 თვე ელოდებოდა გრიგოლისგან და მისი მეგობრისგან ახსნაგანმარტებებს, თუმცა არანაირი არგუმენტები არ წარუდგენიათ საბჭოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს შპს თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. "ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 ოქტომბრის №1365544 გადაწყვეტილების დანართში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა შუამდგომლობა, რომ ნიუვიჟენის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გადაწყვეტილების დანართში ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამები გადმოტანილი იყო ზუსტად იმ პროგრამების ჩამონათვალში, რომელიც ნიუვიჟენს ჰქონდა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის დანართში. თუმცა როდესაც გადაწყვეტილება გამოქვეყნდა აღმოჩნდა, რომ ოქმში გამორჩენილი იყო პროგრამა „სამედიცინო რეაბილიტაცია და ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ჩარჩოსთან შესაბამისობის პროექტში გაიყო ორ ნაწილად, რომელიც იყო ორ კვალიფიკაციიანი. ერთი იყო ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, რომელმაც ბიზნესის მიმართულებით გაიარა აკრედიტაცია 2024 წლის დეკემბერში და ამავე დროს მეორე მოდული, - „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ კვალიფიკაციას რომ ანიჭებდა, წარმოდგენილია კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროებთან შესაბამისობაზე აკრედიტაციის დებულების მიხედვით. შესაბამისად სამედიცინო რეაბილიტაციის და „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამამ უნდა გააგრძელოს ძველი სახელწოდებით არსებობა მანამ, სანამ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ მოდული აკრედიტაციის საბჭოს მიერ არ იქნება განხილული ცალკე. შესაბამისად დააყენეს ცვლილება, რომ ეს პროგრამა, რომელიც ნახსენებია თვითშეფასების დოკუმენტში და მესამე სტანდარტშიც არის აღწერილი გარემოება, უბრალოდ ტექნიკური მიზეზის გამო უნდა დაემატოს ავტორიზაციის გადაწყვეტილების დანართში ეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 ოქტომბრის №1365544 გადაწყვეტილების დანართში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება და „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის **17**

ოქტომბრის №1365544 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათალს დაემატოს „სამედიცინო რეაბილიტაცია და ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:00 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო